



საინფორმაციო ბიულეტენი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულო სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

DRI ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების მონიტორინგს აგრძელებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა წარმოადგინა ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის პირველი, მეორე, მესამე და მეშვიდე რეკომენდაციების შესრულებაზე მოსაზრებები:

პირველი რეკომენდაცია - „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ნაწილს პოლარიზაციის დასაძლევად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ და პოლიტიკური პოლარიზაცია ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გზაზე კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მეორე რეკომენდაციის პირველი ნაწილი - მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებით კვლავ დარჩა არაერთი ხარვეზი, რომელთა გამოსწორების გარეშე რთული იქნება გაუმჯობესებულ საპარლამენტო ზედამხედველობაზე საუბარი.

მესამე რეკომენდაცია - დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის აზრით, ქართული ოცნების მიერ მე-6 პუნქტის შესრულებისთვის განსაზღვრული გეგმა სრულად არ შეესაბამებოდა ევროკომისიის რეკომენდაციის სულისკვეთებას.

მეშვიდე რეკომენდაცია - დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, „ქართული ოცნების“ გეგმა ევროკომისიის მე-7 რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფოს დამოუკიდებელი მედია გარემოს შექმნას ავალდებულებს, ევროკომისიის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.

DRI -ის საქმიანობა დეკემბერში

- ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა არასპონტანური და წინასწარ განზრახულია
- DRI-ის მოსაზრებები ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შესახებ
- ლათის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა
- DRI: მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი კადრების გავრცელება ღირსების შემლახველია
- ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების მონიტორინგი
- DRI: ქართული ოცნების მიერ ევროკომისიის მე-6 პუნქტის შესრულებისთვის განსაზღვრული გეგმა სრულად არ შეესაბამებოდა ევროკომისიის რეკომენდაციას
- DRI: ევროკომისიის მე-7 რეკომენდაცია დამოუკიდებელი მედიაგარემოს შესახებ არ შესრულებულა
- DRI: ევროკომისიის პირველი რეკომენდაცია, რომელიც პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის გადაჭრას გულისხმობს, არ სრულდება

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- ხელისუფლებამ უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები სასამართლოსთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივას მიესალმებიან